

სიანხლაეები კონკურენციის სამართალში

თბილისი
2014

ბროშურა შედგენილია კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაკვეთით.

ცენტრის ელექტრონული მისამართია: competitionandconsumer@gmail.com

ვებ-გვერდი: www.competitionandconsumer.ge

საკონტაქტო ტელ: +995 599 24 45 42

ბროშურა გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მოსაზრება.



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

სიახლეები კონკურენციის სამართალში

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებული იქნა 2012 წლის 8 მაისს. მიმდინარე წლის 21 მარტს კი საქართველოს პარლამენტმა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებები შეიტანა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღებით, რაც განპირობებული იყო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით. შეიცვალა კანონის სახელწოდებაც. მას „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ეწოდა.

კონკურენციის სამართალში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება გამოვყოთ. მათ შორის არის:

1. ეკონომიკური აგენტების ორმხრივი და მრავალმხრივი ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელსაც შედეგად მოჰყვება ბაზარზე კონკურენციის შემცირება ან აღმოფხვრა;
2. დომინანტი ეკონომიკური აგენტების მიერ მათი პოზიციის ბოროტად გამოყენება, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან/და მომხმარებელს;
3. კონცენტრაცია, რაც გულისხმობს ეკონომიკური აგენტების გაერთიანებას/შერწყმას, რასაც ბაზარზე მოყვება კონკურენციის შემცირება ან აღმოფხვრა;
4. კონკურენციის შესახებ კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილი ორგანოს კომპეტენცია სამართალდარღვევების გამოსავლენად და სამართალდამრღვევი ეკონომიკური აგენტების პასუხისმგებლობის სახეები;
5. თანამშრომლობის პროგრამა, რაც ითვალისწინებს კონკურენციის სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის დასაკისრებელი ჯარიმებისაგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლებას იმ შემთხვევაში თუ ისინი ითანამშრომლებენ სააგენტოსთან და დააკმაყოფილებენ თანამშრომლობის პროგრამის წესით გათვალისწინებულ პირობებს.

ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საქმიანობა

ე.წ. კარტელური საქმიანობა აკრძალულია კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით. კერძოდ, აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი ხელშეკრულებების დადება, ისეთი გადაწყვეტილებების მიღება ან ისეთი შეთანხმებული ქმედების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ან რომელსაც შედეგად მოსდევს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის დაუშვებლობა, შეზღუდვა ან/და აკრძალვა.

ეკონომიკური აგენტის ცნება მოცემულია კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტში და წარმოადგენს პირს, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ეს ცნება ასევე მოიცავს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და სხვა გაერთიანებას, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას.

კონკურენციის სამართლის ნორმების მოთხოვნაა თითოეულმა ეკონომიკურმა ოპერატორმა განსაზღვროს თავისი სავაჭრო პოლიტიკა დამოუკიდებლად, რაც მოიცავს კონკურენციის სხვადასხვა პარამეტრებს. მათ შორის, ფასს, წარმოებას, საქონელს, ბაზრებს, ინოვაციას, ინვესტიციას. მე-7 მუხლი კრძალავს ეკონომიკური აგენტების ერთობლივ და არა ინდივიდუალურ მოქმედებებს. ის საჭიროებს „საიდუმლო მორიგების“ ელემენტების არსებობას დამოუკიდებელ ეკონომიკურ აგენტებს შორის. აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი სახის თანამშრომლობა ან ფარულ, საიდუმლო გარიგებაში შესვლა, რომელიც კონკურენციას შეზღუდავს. თუმცა, მათ შეუძლიათ გონივრულად შეეწყონ კონკურენტების არსებულ ან სამომავლო ყოფაქცევას, რაც შეიძლება პარალელურ ყოფაქცევაში გამოიხატოს. მაგრამ მათი პარალელური საქმიანობის შემთხვევაში არ უნდა იყოს მხარეებს შორის რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი/ურთიერთობა.

ხელშეკრულება, იგივე შეთანხმება – არის ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმება რომელიც გამოიხატება ნება-სურვილის დამთხვევაში ბაზარზე ერთიანი ყოფაქცევის მიღებაზე, სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაზე ან ერთიანი მიზნის გაყოლაზე. თუ რა ფორმით იქნება გამოხატული მხარეების

ნება-სურვილი უმნიშვნელოა, რამდენადაც იგი წარმოადგენს მხარეების განზრახვის ზუსტ გამოხატულებას. ეკონომიკურმა აგენტებმა აუცილებელია გამოხატონ თავიანთი ერთობლივი განზრახვა იმოქმედონ კონკრეტული მიმართულებით ბაზარზე. შეთანხმება შეიძლება არსებობდეს წერილობითი ფორმით ან შეიძლება იყოს ზეპირი შეთანხმებაც, ასევე ე.წ. ჯენტლმენების შეთანხმება.

შეთანხმება შეიძლება იყოს სახელმწიფოს სამართლის ნორმებით წახალისებული ან დამტკიცებული ან იგი ძალაში შევიდეს ხელისუფლების ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ. ასეთ შეთანხმებებზე იმუნიტეტი არ ვრცელდება!!

ისეთ შეხვედრებში მონაწილეობის მიღებაც კი, სადაც ბიზნეს გეგმები განიხილება და/ან შესაბამისი ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღება კონკურენციის შემზღვეველი მოქმედებად განიხილება. მხარე, რომელიც ესწრებოდა და/ან მონაწილეობდა შეხვედრაში, მიიჩნევა, რომ არის შეთანხმების მონაწილე და მხედველობაში იღებს განხილულ საკითხებს თავის სამომავლო საქმიანობაში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ხდება განხილული საკითხებისაგან „საჯარო დისტანცირება“.

ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილება – მე-7 მუხლი გამოიყენება ეკონომიკური აგენტების გაერთიანებების მიმართაც თუ მათი გადაწყვეტილებით დარღვეულია კონკურენციის სამართლის ნორმები. ამდენად, აღნიშნული მუხლი ასევე გამოიყენება ეკონომიკური აგენტების ინსტიტუციონალიზირებული თანამშრომლობის მიმართაც.

ეკონომიკური აგენტების ასოციაციები/გაერთიანებები შედგება მსგავსი ტიპის ინდუსტრიაში მომუშავე საწარმოებისაგან. გაერთიანების მიზანია წარმოადგინოს და დაიცვას წევრების ერთიანი ინტერესი სხვა ეკონომიკური ოპერატორების, სამთავრობო სტრუქტურებისა და ზოგადად სახელმწიფოს წინაშე.

ეკონომიკური აგენტების გაერთიანება შეიძლება იყოს:

1. სავაჭრო ასოციაციები, და
2. პროფესიული ასოციაციები (ადვოკატთა ასოციაცია, ბულალტერთა ასოციაცია, არქიტექტორების ასოციაცია, სხვა).

ასოციაციის წევრების მიერ მიღებული ყოფაქცევა შეიძლება წარმოადგენდეს გადაწყვეტილებას ან შეთანხმებას ან შეთანხმებულ პრაქტიკას. გადაწყვეტილებად შეიძლება ჩაითვალოს ასოციაციის წესდება და ვაჭრობის წესები. ხშირია შემთხვევები როდესაც ასოციაცია იღებს რეკომენდაციებს თავისი წევრებისათვის. სასურველია თუ ისინი არ იქნება სავალდებულო და მას ექნება სარეკომენდაციო ხასიათი. კონკურენციის სააგენტოს ყურადღება შეიძლება მიექციოს ასოციაციების მიერ:

1. კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვებამ და გავრცელებამ;
2. გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგის ფუნქციამ;
3. სერტიფიცირების სქემის შექმნამ, რომელიც ითვალისწინებს არაწევრების გარიცხვას ბიზნესიდან ან უცხოური საწარმოების არ შეშვებას ბაზარზე და სხვა საქმიანობამ, რომელიც მიმართულია კონკურენციის შემცირებისაკენ ან აღმოფხვრისაკენ.

შეთანხმებული ქმედება – ფართო ცნებაა და მოიცავს თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს, გარდა ხელშეკრულებისა/შეთანხმებისა ან გადაწყვეტილებისა. ამ ცნებაში იგულისმება მხარეებს შორის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტი, რომელიც მიზნად ისახავს წინასწარ იმ გაურკვევლობების აღმოფხვრას, რაც უკავშირდება კონკურენტების სამომავლო ყოფაქცევას. ამდენად, ასეთი ყოფაქცევა ხელს უწყობს მათი კომერციული საქმიანობის კოორდინაციას.

ეკონომიკური აგენტების საქმიანობების შესწავლისას საჭიროა კონკურენტული ყოფაქცევის ანალიზი ორი მიმართულებით. პირველი არის მისი **მიზანი**. თუ ყოფაქცევის მიზანი არის კონკურენციის შეზღუდვა ან აღმოფხვრა, მაშინ იგულისხმება, რომ მიზნიდან გამომდინარე ეს ქცევა უნდა აიკრძალოს, რადგან მას ბაზარზე უარყოფითი შედეგი მოაქვს. აუცილებელია შეთანხმების ან გადაწყვეტილების ეკონომიკური და სამართლებრივი ანალიზი. გარდა მიზნისა, მნიშვნელოვანია იმის ანალიზიც თუ რა **შედეგის** მომტანია ესა თუ ის ყოფაქცევა ბაზარზე. შედეგის ანალიზის მიხედვით ხდება კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევებისათვის ჯარიმების დაანგარიშებაც.

შესაბამისი ბაზრის დადგენისას საჭიროა ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების განსაზღვრა და შესაბამისი ტერიტორიის დადგენა. ურთიერთჩანაცვლებადი საქონელი და მომსახურება არის საქონელი ან საქონელთა ჯგუფი ან/და მომსახურება ან მომსახურებათა ჯგუფი, რომელთაგან ერთ-ერთი ფუნქციური დანიშნულების, გამოყენების, მოთხოვნის არსებითად დაკმაყოფილების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით შეიძლება მეორით ჩანაცვლდეს მოხმარების ან/და საწარმოო პროცესში. მაგალითად, შეიძლება ყავა ჩანაცვლდეს თუ არა ჩაით, ღვინო არყით, ან ლუდით. რაც შეეხება ტერიტორიას, იგი შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

კონკურენცია კანონის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

მე-7 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს იმ კონკურენტული მოქმედებების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ეკონომიკურ აგენტებს ერთობლივად ეკრძალებათ. ესენია:

ა. შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება). ამ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მაქსიმალური ფასების ისევე როგორც მინიმალური ფასების ფიქსაცია აკრძალულია თუ იგი კონკურენციის შემზღუდავია. სხვა სავაჭრო პირობებში იგულისხმება როგორც საქონლის მიტანის პირობები, ასევე გარანტიის, ფასდაკლებების, საკომისიოს და სხვა პირობები;

ბ. წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ. ბაზრების ან მიწოდების წყაროების, მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ. იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;

ე. გარიგების პირობად მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციული თვალსაზრისით დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან. ამ შემთხვევაში იგულისხმება სახელშეკრულებო შებოჭვა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ეკონომიკურ აგენტებს არ უნდა დაეკისროს მაგალითად დამატებით ისეთი საქონლის შეძენის ვალდებულება, რომელიც ხელშეკრულების ძირითად საქონელთან დაკავშირებული არ არის;

ვ. სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება (სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად), რაც იწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებით შელახვას. ამ შემთხვევაში, იგულისხმება მანიპულაციური ტენდერები. აუცილებელია, რომ ტენდერში მონაწილე ეკონომიკურმა აგენტებმა დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა მასში და მათი სატენდერო წინადადებები იყოს რეალურად დამოუკიდებელი ეკონომიკური ანალიზისა და კალკულაციის შედეგი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის მიხედვით მანიპულაციური ტენდერები სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს და შესაბამისი სასჯელიც არის გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის გაცვლაზე შეთანხმებები ჩამოთვლილ აკრძალვებში ცალკე არ არის გამოყოფილი, იგი კონკურენციის ორგანოების ყურადღებას იპყრობს. ინფორმაციის გაცვლაზე შეთანხმება შეიძლება იყოს ცალკე შეთანხმება ან რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი შეთანხმების ნაწილი.

ინფორმაციის გაცვლა კონკურენტებს შორის კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევად აღიქმება, რადგან ინფორმაციის გაცვლით ხდება ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებული გაურკვევლობების აღმოფხვრა. სტრატეგიული ინფორმაციის კონკურენტებს შორის გაცვლა უტოლდება კონცენტრაციას, რადგან იგი ამცირებს ბაზარზე კონკურენტების ყოფაქცევის დამოუკიდებლობას და ერთმანეთს შორის კონკურენციაში შესვლის სტიმულს.

იმ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებამაც კი რომელზეც გამჟღავნებულია კომპანიების ფასები (მიმდინარე და მით უფრო სამომავლო) ან სამო-

მავლო გეგმები მე-7 მუხლის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, მიუხედავად იმისა რაიმე გადაწყვეტილება მიღებული იქნა თუ არა ამ შეხვედრაზე.

თუ საწარმო იღებს სტრატეგიულ ინფორმაციას კონკურენტისაგან (შეხვედრაზე, ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით), ივარაუდება რომ ის იღებს ამ ინფორმაციას და შეუსაბამებს თავის სამომავლო ყოფაქცევას მას, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი უპასუხებს ნათელი განცხადებით, რომ მას არ სურს მიიღოს ასეთი ინფორმაცია.

ინფორმაციის გაცვლის შეთანხმებების განხილვისას მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- ინფორმაციის გაცვლის სიხშირე;
- ინფორმაციის ასაკი (ზოგიერთ შემთხვევაში, წარსულ ფასებზე ინფორმაციის გაცვლაც კონკურენტის სამართლის ნორმების შემზღუდავად შეიძლება ჩაითვალოს თუ იგი საშუალებას იძლევა მოხდეს სამომავლო ფასების წინასწარმეტყველება);
- გაცვლილი ინფორმაციის სახე (საჯარო თუ კონფიდენციალური, ერთიანი თუ დეტალური, ისტორიული ან მიმდინარე);
- გაცვლილი ინფორმაციის მნიშვნელოვანება ფასების, რაოდენობისა ან მომსახურების სხვა პირობების ფიქსაციისათვის;
- ბაზრის სახე – საკმარისად გამჭვირვალე, კონცენტრირებული, არა რთული, სტაბილური და სიმეტრიული.

სტრატეგიული ინფორმაცია არის ინფორმაცია ფასებზე (მიმდინარე და სამომავლო ფასებზე, ფასდაკლებებსა და შეღავათებზე, ფასის მომატებაზე), კლიენტების სია, წარმოების ხარჯები და ოდენობა, გაყიდვების რაოდენობა, ბრუნვა, უნარი, ხარისხი, მარკეტინგის გეგმები, რისკები, ინვესტიციები, ტექნოლოგიები და კვლევისა და განვითარების პროგრამები და მათი შედეგები.

კონკურენტის ორგანოებმა ასევე შეიძლება კონკურენტის სამართლის ნორმების დარღვევად მიიჩნიონ კონკურენტების მიერ ფასების წინასწარი გამოცხადება, რაც მათ შორის გაურკვევლობების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. ფასების წინასწარი გამოცხადებები ბაზარზე ქმნის ფასის ზრდის ოდენობასთან დაკავშირებულ გამჭვირვალობას და, თუ იგი ეკო-

ნომიკურ აგენტებს შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება, კონკურენციის ორგანოების მიერ ასეთი ქმედებები, როგორც წესი, კვალიფიცირდება სამართალდარღვევად.

ჩამოთვლილი შეთანხმებები ბათილია თუ მასზე არ ვრცელდება კანონით გათვალისწინებული პირობები. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ორ შესაძლებლობას კანონის მე-7 მუხლში ჩამოთვლილი შეთანხმებების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა:

პირველი მოცემულია კანონის მე-8 მუხლში, სადაც საუბარია უმნიშვნელოდ შემზღუდველ ხელშეკრულებებზე. კონკურენციის სამართლის ნორმების მიხედვით, თუ ჰორიზონტალური შეთანხმების მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 10 პროცენტს და ვერტიკალური შეთანხმების თითოეული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი არ აღემატება 15 პროცენტს ივარაუდება, რომ ასეთ შეთანხმებებს არ შეუძლია იქონიონ ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენა და პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. ისეთი შეთანხმებების დროს კი, რომლებიც როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური შეთანხმებების ნიშნებს შეიცავენ და ამის გამო ძნელია მათი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ შეთანხმებად კვალიფიკაცია, თითოეული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი არ უნდა იყოს 10 პროცენტზე მეტი. თუმცა, ეს გამონაკლისი არ ვრცელდება მე-7 მუხლის ა, გ და ვ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებებზე, რადგან ისინი იმდენად მძიმე დარღვევებია, რომ მათი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება კანონმდებელს არასწორად მიაჩნია.

მე-7 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებების და შეთანხმებული ქმედებების პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების მეორე შესაძლებლობა მოცემულია კანონის მე-9 მუხლში, რომელიც საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ათავისუფლებს ხელშეკრულებებს თუ ისინი დააკმაყოფილებენ ოთხ კუმულატიურ პირობას. ამ პირობებიდან პირველი ორი არის დადებითი, ხოლო ბოლო ორი კი უარყოფითი. პირველი ორი პირობა მოითხოვს რომ ხელშეკრულებებმა, გადაწყვეტილებებმა და შეთანხმებულმა ქმედებებმა

1. ხელი შეუწყონ წარმოებას ან/და გააუმჯობესონ მიწოდება, გამოიწვიონ ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესი;

2. მომხმარებელს მისცენ სარგებელი, რაც ამ უკანასკნელების კეთილდღეობის ზრდაში გამოიხატება.

ბოლო ორი უარყოფითი კრიტერიუმი კი მოითხოვს რომ ხელშეკრულებებმა გადაწყვეტილებებმა და შეთანხმებულმა ქმედებებმა:

3. არ დააწესონ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზნების მიღწევასთან არ არის დაკავშირებული. შეზღუდვები უნდა იყოს პროპორციული და გონივრული;

4. არ მოახდინონ შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე კონკურენციის შეზღუდვა.

აღნიშნული ოთხი პუნქტის მტკიცების ტვირთი შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს აწევთ.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები დგინდება განსაზღვრული ვადით საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით. მე-9 მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე მთავრობამ 2014 წლის 1 სექტემბერს დაამტკიცა „კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების აკრძალვიდან გამონაკლისების შესახებ“ #526 დადგენილება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ ხელშეკრულებებზე თუ ისინი აკმაყოფილებენ დადგენილებაში მოცემულ პირობებს:

- დისტრიბუტორ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ხელშეკრულებები;
- ავტოსატრანსპორტო სფეროში მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის დადებული ვერტიკალური ხელშეკრულებები;
- ტექნოლოგიური ტრანსფერის შესახებ ხელშეკრულებები;
- სპეციალიზაციის შესახებ ხელშეკრულებები;
- საერთო კვლევის წარმოების შესახებ ხელშეკრულებები.

დომინანტი პოზიცია და მისი ბოროტად გამოყენება

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ეკონომიკური აგენტებს არ აქვთ აკრძალული დომინანტი პოზიციის ქონა. თუმცა, დომინანტი ეკონომიკური აგენტების მიერ საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება აკრძალულია და ისჯება კანონით. დაუშვებელია ასევე რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენებაც. დომინირებული მდგომარეობა კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად განმარტებულია როგორც „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ თუ მისი/მათი წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40 პროცენტს.“

კოლექტიურ დომინანტობაზე მნიშვნელოვან განმარტებას იძლევა მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან ამ უკანასკნელთა ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესასვლელი ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

1. არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;
2. არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი იძლევა ეკონომიკური აგენტის დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრის კრიტერიუმებს. ესენია:

- დომინანტი ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი. კანონის მე-3 მუხლის „ი“ პუნქტის შესაბამისად, როგორც წესი, ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინანტი პოზიციის მქონედ თუ ის ფლობს შესაბამისი ბაზრის წილის არანაკლებ 40 პროცენტს;
- კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობა;
- ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერები;
- მყიდველის საბაზრო ძალაუფლება;
- ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობა;
- ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხი;
- ქსელური ეფექტები;
- საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორები.

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. აქვე არის იმ მოქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც ეკრძალება დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს. ესენია:

1. შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;
2. წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;
3. გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებით დისკრიმინაციული პირობების დაწესება იდენტურ ტრანზაქციებზე, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;
4. ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს დამატებით ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მუხლი არ შეიცავს ამომწურავ ჩამონათვალს იმ აკრძალული ქმედებებისა, რომელიც დომინანტმა ეკონომიკურმა აგენტებმა არ უნდა განახორციელონ.

დომინანტი ეკონომიკური აგენტების მხრიდან განხორციელებული ქმედებები შეიძლება მიმართული იყოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტების წინააღმდეგ, მაგალითად მიზნად ისახავდეს მათ შევიწროებას, ბაზრიდან გაძევებას ან ბაზარზე არ შეშვებას. ასევე, მათი საქმიანობა შეიძლება მი-

მართული იყოს მომხმარებლების წინააღმდეგაც, მაგალითად, როდესაც საქონელი ან მომსახურება არასამართლიან ფასად იყიდება. არასამართლიან ფასში იგულისხმება როგორც შეუსაბამოდ მაღალი, ასევე დაბალი ფასი. გადაჭარბებული ფასების განსაზღვრისას აუცილებელია მისი ეკონომიკური ღირებულების დადგენა. რაც შეეხება შეუსაბამოდ დაბალ ფასებს, ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვექონდეს მტაცებლურ ფასთან. მაგალითად, დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ საქონლისა და მომსახურების გაყიდვა მისი წარმოების ღირებულებაზე ნაკლებ ფასად. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეკონომიკური აგენტი შეგნებულად მიდის წაგებაზე და სურს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ბაზრიდან გაძევება ან ბაზარზე არ შემვება და ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი დომინანტი ეკონომიკური აგენტი, როგორც წესი, უფრო მაღალ ფასებს დააწესებს, რადგან მან დაბალი ფასის შედეგად მიღებული ზარალი უნდა აინაზღაუროს და მოგებაც ნახოს.

დომინანტი პოზიციის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ შეიძლება მოხდეს ასევე გასაყიდი საქონლის (ძირითადად ნედლეულის სახით) მაღალ ფასად მიყიდვა კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისათვის, რასაც შედეგად მოყვება ამ უკანასკნელისათვის მარჯის შეკუმშვა და მისთვის ზიანის მიყენება.

გარდა ამისა, დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტებისათვის, მათ შორის კონკურენტებისათვის მიწოდებაზე უარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განპირობებულია ობიექტური ეკონომიკური გარემოებებით. მაგალითად, წარმოების შემცირებით, რაც განპირობებულია ნედლეულის დეფიციტით.

დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს ასევე ეკრძალებათ დისკრიმინაციული პირობების გამოყენება როგორც კონკურენტი ასევე არაკონკურენტი ეკონომიკური აგენტების მიმართ. მაგალითად, მათ არ შეუძლიათ მიყიდონ ერთი და იგივე საქონელი ან მომსახურება ეკონომიკურ აგენტებს განსხვავებულ ფასად თუ რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტური ეკონომიკური მიზეზი არ არსებობს.

ეკონომიკურ აგენტებს, რომლებსაც დომინირებული მდგომარეობა უკავიათ ბაზარზე ეკრძალებათ კონტრაჰენტების სახელშეკრულებო, ასევე ტექნიკური შეზღუდვა. მაგალითად, დომინანტ ეკონომიკურ აგენტს არ შეუძ-

ლია დაავალდებულოს მისი კონტრაჰენტი ეკონომიკური აგენტი ასევე იყიდოს მისგან სხვა საქონელი ან მომსახურება, რომელიც დაკავშირებული არ არის ხელშეკრულების ძირითად საგანთან. მაგალითად, ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია ვიტამინ „ა“-ს ბაზარზე, არ შეუძლია დაავალდებულოს მომხმარებელი ან საცალო მოვაჭრე იყიდოს ვიტამინი „ბ“-ც მისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ძირითად საქონელს, ვიტამინ „ა“-ს არ მიყიდის. ტექნიკური შებოჭვის მაგალითი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტი, რომელსაც დომინირებული მდგომარეობა უკავია კომპიუტერების ბაზარზე, ისეთ პროგრამებს დაინსტალირებს გასაყიდ კომპიუტერებში, რომ მომხმარებელს არ შეეძლება სხვა პროგრამების ჩაწერა და/ან მათი გამართულად მუშაობა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 11³ მუხლი ეკონომიკურ აგენტებს უკრძალავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელებას. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინებად ითვლება ეკონომიკური აგენტის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტებისა და მომხმარებელთა ინტერესებს. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ქმედებების ჩამონათვალი მოცემულია აღნიშნული მუხლის მეორე პარაგრაფში. ესენია:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო და აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარჩევის ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულვებელყოფით იმოქმედოს;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელება აკრძალულია, იგი დასჯადი არ არის. თუმცა, ასეთი საქმიანობა სარისკოა, რადგან დომინანტი პოზიციის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტი პოზიციის ბოროტად გამოყენების პარალელურად ასეთი ქმედებების განხორციელება შეიძლება დამამძიმებელ გარემოებად დაკვალიფიცირდეს, რასაც ჯარიმის ოდენობის გაზრდა მოყვება.

კონცენტრაცია

ეკონომიკური აგენტების შერწყმა-გაერთიანება კონკურენციის სამართალში იწოდება კონცენტრაციად. კონცენტრაციას ადგილი აქვს ბაზარზე მაშინ, როდესაც ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი ბაზარზე „ერთიანდება“ ან როდესაც ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს „კონტროლს“ სხვა ეკონომიკურ აგენტზე. კონცენტრაციის ძირითადი მიზანი არის ეფექტურობის გაზრდა (წარმოების გაზრდა, სხვადასხვა პროდუქტების წარმოება, უკეთესი მენეჯმენტი), ასევე არსებული ბარიერების აღმოფხვრა, ლიკვიდაციის თავიდან აცილება, კრედიტორების, მესაკუთრეებისა და თანამშრომლების დაცვა, ეროვნული ჩემპიონების შექმნა-ჩამოყალიბება.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით კონცენტრაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხით, კერძოდ:

ა. ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმით, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

ბ. ფასიანი ქაღალდების ან აქტივების წილის შექმნით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე ან მისი ბიზნესის ნაწილზე პირდაპირი ან ირიბი კონტროლის მოპოვებით იმ პირის მიერ, რომელიც უკვე ბაზარზე აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;

გ. ერთი და იმავე პირის მიერ სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობით.

კონცენტრაციას შედეგად მოჰყვება შესაბამისი ეკონომიკური აგენტების კონტროლის ხანგრძლივი ცვლილება. კონტროლი კი, თავის მხრივ, გამოიხატება უფლებებით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით, რომლებიც ცალცალკე ან ერთად ქმნიან საწარმოზე ან მის ნაწილზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, კერძოდ:

ა) საწარმოს ფლობის ან/და მისი აქტივების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების უფლებას;

ბ) უფლება (მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული), რომელიც იძლევა ეკონომიკური აგენტის მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებაზე, გადაწყვეტილებაზე არსებითი ზემოქმედების შესაძლებლობას.

კანონის მე-11 მუხლის მეორე პარაგრაფის მიხედვით, თუ ეკონომიკური აგენტები ქმნიან ერთობლივ საწარმოს, რომელიც ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას, ასეთი ქმედება კონცენტრაციად ითვლება.

დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტების გაერთიანებას/შერწყმას მოსდევს სტრუქტურული ცვლილებები ბაზარზე და კონკურენციის შემცირება ან აღმოფხვრა, რაც კონკურენციის სააგენტოს ყურადღებას იპყრობს.

კონკურენციის სამართალი ძირითადად იცნობს შემდეგი სახის კონცენტრაციას:

- ეკონომიკური აგენტების ჰორიზონტალური გაერთიანება (კონკურენტების), რაც ამცირებს ბაზარზე მოთამაშეების ოდენობას და ზრდის ახლად ჩამოყალიბებული ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს;

- ეკონომიკური აგენტების არაჰორიზონტალური გაერთიანება, რასაც ნაკლებად მოსდევს უარყოფითი შედეგები ბაზარზე და უფრო დიდ ეფექტურობას იწვევს. თუმცა, კონკურენციის ორგანოების ყურადღებას იპყრობს ისეთი კონცენტრაციები, როდესაც ერთ მონაწილეს აქვს საბაზრო ძალაუფლება სულ მცირე ერთ ბაზარზე.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონით დაუშვებელია ისეთი კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კონცენტრაციის შედეგად არ უნდა მოხდეს დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება.

კანონის მე-11¹ მუხლისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით #30/09-4, ეკონომიკურ აგენტებს გარკვეული პირობების არსებობისას ევალებათ კონცენტრაციის განხორციელებამდე წერილობით შეატყობინონ კონკურენციის სააგენტოს მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ და მისგან კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობაზე დასკვნის მიღების შემდეგ განახორციელონ კონცენტრაცია.

აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტები აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

- ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აქტივების ღირებულება აღემატება 4 მილიონ ლარს.

კანონის მე-11² მუხლი შეიცავს იმ ჩამონათვალს, რომლის შემთხვევაშიც ეკონომიკური აგენტები თავისუფლდებიან წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან. ესენია:

- ეკონომიკურ აგენტებს აქვთ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებისა და განხილვის წესის მე-3 მუხლით ზღვრულ ოდენობაზე ნაკლები საბაზრო ძალაუფლება;
- კონცენტრაცია გადახდისუუნარობის შედეგია ან ლიკვიდაციის პროცესში ხორციელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონკურენტი ეკონომიკური აგენტი მოიპოვებს მასზე კონტროლს;
- თუ კონტროლის მოპოვება დროებითია სესხის უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ არ გამოიყენება აქტივების ფლობით მინიჭებული უფლებები, გარდა გაყიდვის უფლებისა;
- კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებულ ეკონომიკურ აგენტებს ეხებათ;
- თუ ფინანსური ინსტიტუტი ჩვეულებრივი საწესდებო საქმიანობის ფარგლებში საკუთარი ან კლიენტის სახსრებით იძენს სხვა საწარმოს წილებს ან აქციებს სხვა საწარმოში და დროებით მოიპოვებს მასზე კონტროლს, ან იძენს აქტივებს მათი შემგომი გაყიდვისათვის, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ტრანზაქცია განხორციელდება მათი შექენიდან/ მასზე კონტროლის მოპოვებიდან არაუგვიანეს ერთი კალენდარული წლისა. თუმცა, აუცილებელია, რომ დაკმაყოფილდეს ქვემოთ მოცემული ორი კუმულატიური პირობა:
 - ამ ინსტიტუტს არ ჰქონდეს აქციების ან წილების ფლობასთან დაკავშირებული უფლებები, გარდა დივიდენდების მიღების უფლებისა და
 - მან ეს უფლებები უნდა გამოიყენოს მხოლოდ საწარმოს, მისი აქტივების ან აქციებისა და წილების სრულად ან ნაწილობრივ გასაყიდად მომზადებისათვის.

კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად შექმნილია კონკურენციის სააგენტო, რომლის ძირითადი ამოცანაა კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებებისა და ქმედებების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა (კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი). შესაბამისად, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის დაცვაზე კონტროლი კონკურენციის სააგენტოს ევალება და კანონის დარღვევის ფაქტების გამოვლენა, განხილვა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მისი ფუნქცია არის.

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველ პუნქტში საუბარია კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებაზე. სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი იმის შესახებ, რომ დარღვეულია კანონის შესაბამისი მუხლი. საქმის მოკვლევის დაწყებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან სამ თვეში სააგენტო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება. თუმცა, საქმის სირთულიდან და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია, მაგრამ არაუმეტეს 10 თვემდე.

მოკვლევის პროცესში სააგენტოს უფლება აქვს:

- შესაბამის ეკონომიკურ აგენტს და სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის მისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ;
- გაცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას;
- იმ შემთხვევაში თუ ეკონომიკური აგენტები არ მიაწვდიან გამოთხოვილ ინფორმაციას, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის თაობაზე;
- მოკვლევის პროცესში მოიწვიოს მხარეები ზეპირი ახსნა-განმარტების მისაღებად;

- სატიროების შემთხვევაში მოაწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან;
- სატიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტები საქმის მოკვლევის პროცესში;
- ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების კონკურენციის შესახებ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მიზანშეწონილობის შემთხვევაში აწარმოოს კვლევა დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების დასადგენად შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი საბაზრო წილის დადგენის მიზნით; კონკურენციის სააგენტოს კანონის მე-18 მუხლის მიხედვით გააჩინა ასევე სანქციების დაწესების უფლებამოსილება. კერძოდ მას შეუძლია:
 - გამოთხოვილი ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტებს დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა, რომელიც კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება იყოს ათასიდან სამი ათას ლარამდე. მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაჯარიმება არ ათავისუფლებს შესაბამის პირს/მხარეს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან;
 - შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი ეკონომიკური აგენტის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი;
 - დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას მისი იძულებით დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა, ან განახორციელოს კონკურენციის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები;
 - კანონის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევის შემთხვევაში დაუწესოს ეკონომიკურ აგენტებს 33-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს მათი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს, ხოლო სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვე-

ვაში ან სამართალდარღვევის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ჯარიმების ოდენობა შეიძლება გიზარდოს წლიური ბრუნვის 10 პროცენტამდე. ჯარიმების ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. სააგენტოს ჯარიმების დაკისრების უფლება არ აქვს იმ ეკონომიკურ აგენტებზე, რომლებიც რეგულირებად სფეროში მუშაობენ.

სააგენტოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილება აქვს მოკვლევის პროცესში. კერძოდ, მას უფლება აქვს:

- შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერება, თუ არსებობს აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ ეს ქმედება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას კანონის მე-6 და მე-7 მუხლების შინაარსიდან გამომდინარე;
- საჭიროების შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს მოტივირებული შუამდგომლობით საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებისათვის თუ:
 - გამოთხოვილი ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული ეკონომიკური აგენტების მიერ;
 - არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ან/და დამალვის საშიშროება;
 - მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას;
 - საჭიროა მატერიალური აქტივების ვიზუალური დათვალიერება (კანონის 18.1.ე მუხლი და 25.7 და 8 მუხლი).

კანონის 25-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად ადგილზე შემოწმებისას კონკურენციის სააგენტოს შეუძლია:

- ✓ ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების, გაცნობა, მათი კონფიდენციალურობის მიუხედავად;
- ✓ დოკუმენტების ასლების გადაღება;

- ✓ ადგილზე ახსნაგანმარტების მიღება;
- ✓ ეკონომიკური აგენტების იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე დაშვება.

ადგილზე შემოწმება, როგორც წესი, ხდება სამუშაო საათებში. თუმცა, გადაუდებელ შემთხვევებში, თუ არსებობს მტკიცებულებათა განადგურების ან სხვაგვარად დაკარგვის საფრთხე, შეიძლება განხორციელდეს არასამუშაო საათებშიც.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, თუ რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით შესაბამისად მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს და შესაბამის ეკონომიკურ აგენტს მოკვლევის პროცესში. ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია:

- წარუდგინოს სააგენტოს საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები მის წინააღმდეგ შემოსული განცხადებებისა და საჩივრების შესახებ;
- საქმის მოკვლევის პროცესში ჰყავდეს წარმომადგენელი;
- გაეცნოს საქმის მასალებს;
- მისცეს აცილება კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში;
- შემოწმებისას მოიწვიოს ნდობით აღჭურვილი პირი;
- გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილებები დადგენილ ვადებში თბილისის საქალაქო სასამართლოში;

ეკონომიკური აგენტი ვალდებულია:

- მიაწოდოს სააგენტოს გამოთხოვილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ მითითებულ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. თუმცა, ეკონომიკური აგენტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე სააგენტოს შეუძლია ეს ვადა მხოლოდ ერთხელ არაუმეტეს 15 დღით გააგრძელოს. ინფორმაცია და დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნეს სააგენტოს ოფიციალურ მისამართზე ან ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე;
- ხელი არ შეუშალოს სააგენტოს უფლებამოსილ წარმომადგენლებს თავისი მოვალეობის შესრულებაში და დაუშვან ისინი შემოწმების ადგილას.

დაზარალებული ეკონომიკური აგენტის უფლება მიმართოს კონკურენციის ორგანოებს

ეკონომიკურ აგენტს, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, შეუძლია მიმართოს კონკურენციის სააგენტოს საჩივრით, რომელიც სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმით უნდა იყოს წარდგენილი. მომჩივანმა სააგენტოში უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, რადგან მას ეკისრება მტკიცების ტვირთი.

სააგენტო მომჩივანს აცნობებს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე. კონკურენციის ორგანოს უფლება აქვს, მოსთხოვოს მომჩივანს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა.

მომჩივანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის დარღვევის თაობაზე დავის ხანდაზმულობის ვადაა დარღვევის ჩადენიდან არა უმეტეს 3 წელი.

დაზარალებულ ეკონომიკურ აგენტს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს კონკურენციის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით კონკურენციის სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე. მას ასევე უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.

თანამშრომლობის პროგრამა და ჯარიმებისაგან განთავისუფლება

კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 33¹-ე მუხლი ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების ჯარიმებისაგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების შესაძლებლობას თუ დაკმაყოფილებულია კანონითა და „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების გამოყენების წესით“ გათვალისწინებული პირობები. აღნიშნული წესი დამტკიცებულია სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის #30/09-2 ბრძანებით.

კანონის 33¹-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია ის პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს ეკონომიკურმა აგენტებმა პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კანონით მხოლოდ რამდენიმე სახის კარტელური საქმიანობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაა შესაძლებელი. კერძოდ, კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემდეგი შეთანხმებების:

- შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);
- ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;
- სატენდერო წინადადების შეთანხმებული პირობების დაწესება (სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ურთიერთშეთანხმებული ეკონომიკური აგენტებისთვის ან სხვისთვის მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად), რაც იწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებით შელახვას.

კანონის მე-7 მუხლი კრძალავს კარტელური საქმიანობის სხვა სახეობებსაც, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი. თუმცა, მათ განთავისუფლებას ე.წ. თანამშრომლობის პროგრამით კანონი არ ითვალისწინებს. ესენია:

- წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;
- იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული/დისკრიმინაციული პირობების გამოყენება გარკვეულ სავაჭრო პარტნიორებთან, რითაც ხდება მათი კონკურენციულად წამგებიან მდგომარეობაში ჩაყენება;
- გარიგების პირობად მხარისთვის ისეთი დამატებითი ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციული თვალსაზრისით დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან.

ეკონომიკურმა აგენტმა იმისათვის, რომ მოიპოვოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების უფლება უნდა დააკმაყოფილოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

- სააგენტოს უნდა მიაწოდოს მისთვის ცნობილი ინფორმაცია წერილობით ან ზეპირად მანამ, სანამ ეს ინფორმაცია სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

- საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლოს სააგენტოსთან.

გარდა კანონით გათვალისწინებული პირობებისა, ეკონომიკურმა აგენტმა უნდა დააკმაყოფილოს „თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გამოყენების წესით“ გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

- შეწყვიტოს კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობა, ან გააგრძელოს იგი მხოლოდ სააგენტოს თანხმობითა და მის მიერ მითითებული ვადით;
- არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და მტკიცებულებები;
- არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
- კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება გაუწიოს სააგენტოს საქმის მოკვლევის პროცესში.

თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული შეღავათები შეიძლება დაიყოს პირველ, მეორე ან მესამე კატეგორიებად. პირველი კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას 100 პროცენტით და შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ იმ ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც რიგით პირველი შეიტანს განცხადს სააგენტოში შეთანხმებაში მონაწილეობის თაობაზე და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი. მეორე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას 20 პროცენტიდან 50 პროცენტამდე. ამ შეღავათით შეიძლება ისარგებლოს იმ ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც რიგით მეორე შეიტანს განცხადებას თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რიგით პირველი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემავსებელი იქნება და ამავდროულად არ იქნება სააგენტოსთვის ცნობილი. მესამე კატეგორიის შეღავათი გულისხმობს ეკონომიკური აგენტის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას 20 პროცენტამდე. ამ კატეგორიის შეღავათით შეიძლება ისარგებლოს იმ ეკონომიკურმა აგენტმა, რომელიც რიგით მესამე ან შემდეგი შეიტანს განცხადებას თანამშრომლობის პროგრამაზე. ამასთან საჭიროა,

რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყოს შემავსებელი წინა განმცხადებლების მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და ამავედროულად სააგენტოსათვის არ იყოს ცნობილი.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი სააგენტოში წარდგენს ერთობლივ განცხადებას, განაცხადის წარმდგენ პირებს შეიძლება მიენიჭოთ მხოლოდ მესამე კატეგორია.

კანონის 33¹-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული სრული ან ნაწილობრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება იმ ეკონომიკურ აგენტზე, რომელიც შეთანხმების ერთადერთი ორგანიზატორი ან/და ინციპატორია, აგრეთვე მათზე ვინც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

ამდენად, კონკურენციის სამართლის მიზანია ბაზარზე კონკურენტული პირობების შექმნა და შენარჩუნება. ეკონომიკურმა აგენტებმა დამოუკიდებლად უნდა განსაზღვრონ ის პოლიტიკა, რომლის ბაზარზე განხორციელებასაც განიზრახავენ და ის პირობები, რომელიც მათ სურთ, რომ შესთავაზონ თავის კლიენტებს. ეს არ ართმევს უფლებას მათ გონივრულად შეეწყონ კონკურენტების არსებულ ან სამომავლო ყოფაქცევას. უბრალო პარალელური ყოფაქცევა კოორდინაციის ელემენტების გარეშე არ წარმოადგენს შეთანხმებულ პრაქტიკას (მაგალითად, ფასების გათანაბრება, კონკურენტების სტრატეგიასთან გათანაბრება, ერთდროული ფასების ზრდა).

კონკურენციის სამართალი უკრძალავს ეკონომიკურ აგენტებს რაიმე სახის პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტაქტს, რომლის მიზანი ან შედეგია ისეთი კონკურენციის პირობების შექმნა, რომელიც არ შეესაბამება ბაზრის ნორმალურ კონკურენტულ პირობებს.

დომინანტი პოზიციის მქონე ეკონომიკურმა აგენტებმა დიდი სიფრთხილით უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რადგან კონკურენციის სააგენტოს მიერ მათ მიერ განხორციელებული ქმედებები შეიძლება კონკურენციის შესახებ კანონის მე-6 მუხლის დარღვევად დაკვალიფიცირდეს. არადომინანტ ეკონომიკურ აგენტებს არ ეკრძალებათ ფასზე კონკურენცია, საქონლის, ნედლეულისა და მომსახურების მიწოდებაზე უარის თქმა, მარჯის შეკუმშვა, მტაცებლური ფასების დაწესება, დისკრიმინაციული ფასები,

სახელშეკრულებო ან ტექნიკური შებოჭვა, წარმოების, ბაზრებისა და ტექნოლოგიების განვითარების შეზღუდვა და სხვა. თუმცა, დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ ფასზე კონკურენციაც კი, თუ მისი მიზანია ბაზარზე ახალი კონკურენტების არ შეშვება ან არსებული კონკურენტის ბაზრიდან გაძევება, შეიძლება კონკურენციის სააგენტოს მიერ სამართალდაღვევად იქნეს დაკვალიფიცირებული. განსაკუთრებით თუ მის მიერ დაწესებული კონკურენტული ფასი წარმოების ხარჯებზე დაბალია, რის გამოც შეგნებულად წაგებაზე მიდის.

არ დაარღვიოთ კონკურენციის სამართლის ნორმები!! წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური ჯარიმები დაგეკისრებთ!!